საქართველოს სახელით
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/3/1395

2025 წლის 19 სექტემბერი

ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტუღუში – წევრი.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების: „ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“. კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლისა და 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის, გიორგი ხორგუაშვილის წარმომადგენელი – გიორგი გოცირიძე; მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი – ქრისტინე კუპრავა.

I
აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 თებერვალს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1395) მომართა გიორგი ხორგუაშვილმა. №1395 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2019 წლის 6 თებერვალს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/10/1395 საოქმო ჩანაწერით, №1395 კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. №1395 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2019 წლის 25 ივლისს.

2. №1395 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლი, 31^1 მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეების ჩამონათვალს რიგითობის მიხედვით. ამავე კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას საჯარო ინტერესებისათვის, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

5. №1395 კონსტიტუციური სარჩელიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე გიორგი ხორგუაშვილი ფაქტობრივად ფლობს, თუმცა მემკვიდრეობის უფლებით ვერ სარგებლობს საკუთარი დედინაცვლის გარდაცვალების შედეგად გახსნილ სამკვიდროზე, რომელიც ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, მემკვიდრეობით მიიღო მოსარჩელის მამის გარდაცვალების შედეგად. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2018 წლის 16 ივლისის №16/9970 წერილით ირკვევა, რომ ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ არის ჩანაწერი მოსარჩელის გარდაცვლილი დედინაცვლის სამკვიდრო ქონების შესახებ სამემკვიდრეო საქმისწარმოების თაობაზე, რაც მოსარჩელის პოზიციით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მამკვიდრებელს არ ჰყავდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრული არც ერთი რიგის მემკვიდრე. შესაბამისად, ამ უკანასკნელის სამკვიდრო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მიიჩნევა უმკვიდრო ქონებად და გადადის სახელმწიფოზე ან, თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში.

6. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელისათვის პრობლემურია ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სადავო, 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა ამომწურავ ჩამონათვალს და მასში არ ითვალისწინებს გარდაცვლილი პირის გერს, რომელსაც საშუალება ექნება, პირველი ხუთი რიგის მემკვიდრეთა არარსებობის შემთხვევაში, მიიღოს დედინაცვლის/მამინაცვლის სამკვიდრო ქონება.

7. მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმები საერთოდ არ აღიარებს გერს დედინაცვლის/მამინაცვლის მემკვიდრედ და კანონით მემკვიდრეობისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, რომ დედინაცვალს/მამინაცვალსა და გერს შორის შესაძლოა, არსებობდეს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მრავალწლიანი ემოციური და მჭიდრო კავშირი. მეტიც, მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1226-ე და 1227-ე მუხლებით განსაზღვრულ ურთიერთრჩენის ვალდებულებასა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ოჯახის წევრთა ჩამონათვალზე და აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა გერისა და დედინაცვლის/მამინაცვლის ურთიერთობას ოჯახური ცხოვრების ნაწილად განიხილავს. შესაბამისად, მათი გამორიცხვა კანონით მემკვიდრეთა სიიდან, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, სამკვიდროს სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლას იწვევს, ზღუდავს მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ მემკვიდრეობის უფლებას.

8. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმებით, კანონით მემკვიდრეთა რიგების ამომწურავი ჩამონათვალიდან გერის გამორიცხვა შესაძლებელია, ემყარებოდეს მკაცრად სისხლით ნათესაობის ისტორიულ პრინციპს. მიუხედავად ამისა, მოსარჩელის პოზიციით, აღნიშნულმა ისტორიულმა პრინციპმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარების კვალდაკვალ, რისი პირდაპირი შედეგიც მემკვიდრეთა წრის გაზრდაა მჭიდრო ემოციური (თუმცა არა სისხლისმიერი) კავშირების სასარგებლოდ. ამასთანავე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა ვერ იქნება კანონით უკვე განსაზღვრულ მემკვიდრეთა ინტერესების შემზღუდველი, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნის მიზანი არ არის გერის გათანაბრება კანონით მემკვიდრის რომელიმე რიგის სამართლებრივ სტატუსთან, არამედ სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების აღიარება, მათი არარსებობის შემთხვევაში.

9. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ უმკვიდრო ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის წესს, მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, არსებობს მამკვიდრებლის გერი, როგორც სამართალსუბიექტი. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული მოწესრიგების ლეგიტიმურ მიზანს შესაძლოა, წარმოადგენდეს სახელმწიფოს ინტერესი – ქონებრივი სარგებელი მიიღოს უმკვიდრო ქონებისგან. თუმცა აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება ვერ ჩაითვლება პროპორციულად, რადგან მოსარჩელის მსგავს პირთა (გერის) კერძო ინტერესები აშკარად გადაწონის სახელმწიფოს მხრიდან უმკვიდრო ქონების მიღების საჯარო ინტერესს. კერძოდ, დედინაცვალს/მამინაცვალსა და გერს შორის არსებულმა ახლო ურთიერთობამ, თანაცხოვრებამ, რომელიც მოიცავს გერის აღზრდასა და მის რჩენას, მჭიდრო ემოციური კავშირის გარდა, შესაძლოა, წარმოშვას კანონით განსაზღვრული ურთიერთრჩენის ვალდებულება. გერისთვის კანონით მემკვიდრეობის უფლების აღიარება კი ემსახურება აღნიშნულ სუბიექტთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის განმტკიცებას. გარდა ამისა, ამ გზით ქონების მიღების შესაძლებლობა გერს გაუჩენს დამატებით მოტივაციას, იზრუნოს საკუთარ დედინაცვალზე/მამინაცვალზე და იცხოვროს მასთან, რაც, დამატებით, ემსახურება მამკვიდრებლის ინტერესების დაცვას.

10. მოსარჩელისათვის ასევე პრობლემურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ის ალტერნატიული დანაწესი, რომლის თანახმად, თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ქონება გადადის არა სახელმწიფოს, არამედ მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა საკუთრებაში, თუკი მამკვიდრებელი მათ რჩენაზე იმყოფებოდა. მოსარჩელის პოზიციით, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი არ იცავს გერის კანონით მემკვიდრეობის უფლებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მსჯელობა უნდა წარიმართოს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების კონტექსტში. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რამდენად გამართლებულია უმკვიდრო ქონების გადაცემა ზემოაღნიშნულ მზრუნველობით დაწესებულებაზე მაშინ, როდესაც ფიზიკურ პირს, მათ შორის, გერს, რომელიც ასევე არჩენდა მამკვიდრებელს, სამკვიდრო ქონებაზე ანალოგიური უფლება არ გააჩნია.

11. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, სადავო ნორმით განსაზღვრული მზრუნველობის განმახორციელებელი ორგანიზაცია და ფიზიკური პირი, მათ შორის, მამკვიდრებლის გერი, სამკვიდრო ქონების მიღების მიზნებისათვის წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, ვინაიდან მამკვიდრებლის სიცოცხლეში მასზე ზრუნვას შესაძლებელია, თანაბრად ახორციელებდეს შესადარებელ სუბიექტთა ორივე კატეგორია, როგორც კანონით განსაზღვრული ვალდებულების, ასევე კეთილი ნების საფუძველზე. შესაბამისად, ამგვარ ქონებაზე საკუთრებითი ინტერესი თანაბრად გააჩნია, როგორც მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანიზაციას, ასევე მოსარჩელეს. სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირების ნიშანს წარმოადგენს მამკვიდრებლის მარჩენალის სტატუსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საქმიანობის მასშტაბი. ამასთანავე, მოსარჩელე მხარის განმარტებით, დიფერენცირებული მოპყრობის ინტენსივობა არის ძალიან მაღალი, ვინაიდან სოციალური დაცვის დაწესებულებებისაგან განსხვავებით, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს საერთოდ არ აქვთ ქონების მიღების შესაძლებლობა.

12. მოსარჩელე დამატებით აღნიშნავს, რომ უმკვიდრო ქონების გადაცემის მიზნებისათვის მზრუნველობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ცალკე გამოყოფას შესაძლოა, გააჩნდეს კონკრეტული ლეგიტიმური საჯარო მიზანი – ამგვარი ორგანიზაციის ფინანსური გაძლიერება და უმკვიდრო ქონების გადაცემით მისი მომსახურების ხარისხის ამაღლება. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება დასახელებული მიზნის მიღწევის გამოუსადეგარი და უვარგისი საშუალებაა. მოსარჩელის მითითებით, გერისთვის დედინაცვლის/მამინაცვლის უმკვიდრო ქონების მიღების პერსპექტივა ამ უკანასკნელს აძლევს დამატებით მოტივაციას, რათა თავად იზრუნოს მამკვიდრებელზე და შესაძლოა, ხელიც კი შეუწყოს მზრუნველობის განმახორციელებელი დაწესებულების განტვირთვას და მისი მომსახურების გაუმჯობესებას.

13. მოსარჩელე მხარე ყურადღებას ამახვილებს მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანიზაციათა მნიშვნელოვან როლზე და მიესალმება სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ იმგვარ

ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება მათ წახალისებას და ფინანსურ გაძლიერებას. თუმცა სახელმწიფოს ამგვარი ქმედება არ უნდა ხორციელდებოდეს გაუმართლებელი დიფერენცირების ხარჯზე. მოსარჩელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა მისთვის პრობლემურია, რადგან იგი არსებითად თანასწორი სუბიექტებიდან ერთ-ერთს ანიჭებს დაუსაბუთებელ უპირატესობას. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს არა მოსარჩელისთვის იმავე უპირატესობის მინიჭება, არამედ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რაც შემდგომში კანონმდებელს საშუალებას მისცემს, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და თანასწორობის უფლების შესაბამისად, გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის ის დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს უმკვიდრო ქონების გადაცემას მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა საკუთრებაში, თუკი მამკვიდრებელი მათ რჩენაზე იმყოფებოდა, არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

15. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დამატებით აღნიშნა, რომ, როდესაც საქმე გერის შვილად აყვანას შეეხება, ხშირ შემთხვევაში, დედინაცვალი/მამინაცვალი აწყდება სამართლებრივ ბარიერს, რაც გამოიხატება გერის ბიოლოგიური მშობლის უარით პირის შვილად აყვანასთან მიმართებით. ამასთანავე, კანონისმიერ მემკვიდრეებთან დაკავშირებით, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს ის ოჯახური თანაცხოვრების ელემენტი, რაც დედინაცვალს/მამინაცვალსა და გერს შორის არსებობს. აღსანიშნავია, რომ გერის სამართლებრივი სტატუსი და ოჯახური ურთიერთობა მამკვიდრებელთან, რომელსაც წინ უძღვის ბიოლოგიური მშობლისა და დედინაცვლის/მამინაცვლის ქორწინება, დადასტურებადია როგორც სამართლებრივად, ასევე დოკუმენტურად. ამასთანავე, აუცილებელი არ არის გერს დედინაცვლის/მამინაცვლის მიმართ მზრუნველობითი ურთიერთობა ჰქონდეს, რისი მტკიცებაც სამართლებრივად შესაძლოა რთული იყოს. მოსარჩელე მხარის პოზიციით, ოჯახური ურთიერთობის არსებობა საკმარისია კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების არსებობის დადგენისათვის. ამასთანავე, საკითხი, ოჯახური თანაცხოვრების რა ვადის შემდგომ არის შესაძლებელი, რომ გერი კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მქონედ ჩაითვალოს, წარმოადგენს კანონმდებლის დისკრეციას.

16. თანასწორობის უფლების შეზღუდვასთან მიმართებით, მოსარჩელე მხარემ განაცხადა, რომ სადავო ნორმას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, რომელიც ლოგიკურ ახსნას მოუძებნიდა დიფერენცირებულ მოპყრობას, ერთი მხრივ, მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანიზაციებსა და, მეორე მხრივ, ფიზიკურ პირებს შორის, რომლებიც ამ ორგანიზაციების მსგავსად, იღებდნენ ფინანსურ რესურსებს მამკვიდრებლის რჩენისათვის. შესაბამისად, მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის გამართლება ვერ მოხდება ვერც მკაცრი და ვერც რაციონალური დიფერენცირების ტესტით შეფასების შემთხვევაში.

17. მოსარჩელე მხარე საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე.

18. მოპასუხის პოზიციით, კანონმდებელი მეტისმეტად ფრთხილია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხება საკუთრების უფლებაში კანონმდებლის ჩარევას. ზოგადად, კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობა მიზნად ისახავს გარდაცვლილის ოჯახის წევრთა და ნათესავთა ინტერესების დაცვას. კანონისმიერი მემკვიდრეობა, თავის მხრივ, შემუშავებულია იმ დაშვებით, რომ მამკვიდრებელი თავის მემკვიდრეებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრულ პირებს თავად დანიშნავდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო. ამასთანავე, კანონით მემკვიდრეობა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რიგი გამონაკლისები (მაგალითად, მეუღლე, ნაშვილები), საოჯახო ან ნათესაურ საწყისებს – კერძოდ კი, სისხლით ნათესაობას ემყარება. აღნიშნული გამონაკლისების მიზანი მამკვიდრებლის ყველაზე ახლობელი ადამიანების სამემკვიდრეო უფლებების მაქსიმალური დაცვაა – შვილად აყვანის ფაქტი საფუძვლად ედება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, ხოლო ქორწინება – მეუღლეებს შორის საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას.

19. მოპასუხე მხარე ასევე განმარტავს, რომ კანონმდებელმა გერი კანონისმიერ მემკვიდრეთა ჩამონათვალში სამართლებრივი სტაბილურობის დაცვის მიზნით არ მოიაზრა. იმავდროულად,

კანონმდებლობა ითვალისწინებს გერის შვილად აყვანის ალტერნატივას, როგორც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, სამკვიდრო ქონების მიღების გარანტიას. მოპასუხის პოზიციით, მემკვიდრეობის უფლება წარმოშობს გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს, სწორედ ამიტომ, აუცილებელია, კანონმდებელმა განჭვრეტადი სამართლებრივი სივრცე შექმნას, რომელიც დამყარებული იქნება სამართლებრივად შეფასებად ფაქტებსა და ურთიერთობებზე. საპირისპიროდ, გერი არ წარმოადენს სისხლით ნათესავს მამკვიდრებლისათვის და არც სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება მასთან.

20. მოპასუხემ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ გერი არ კარგავს ბიოლოგიური მშობლებისგან სამკვიდროს მიღების უფლებას. ის შესაძლოა, ბიოლოგიური მშობლების პირველი რიგის მემკვიდრეც კი იყოს, ხოლო დედინაცვალს/მამინაცვალს, რომელიც გერთან მიმართებით მამკვიდრებლის როლშია წარმოდგენილი, სამკვიდროს დატოვების ნება შეუძლია გამოხატოს ანდერძით. კანონმდებელი კანონისმიერ მემკვიდრეობას ნათესაობის განსაზღვრული ხარისხის ოდენობის ფარგლებში ადგენს, მრავალწლიან ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები მამკვიდრებელთან შესაძლოა, გააჩნდეს მრავალ პირს, მათ შორის, გერს, ფაქტობრივად აღზრდილს, მეგობარს და სხვ., რაც არ იქნებოდა მყარი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების საფუძველი. გარდა ამისა, მოპასუხე მხარის პოზიციით, გერის, როგორც სამართლებრივი სუბიექტის ოჯახის წევრად მოხსენიება სამართლის სხვადასხვა დარგში, თავისთავად, არ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის მიზნებისთვის გერი ოჯახის წევრად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება გერის საალიმენტო ვალდებულებებს, ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მსგავსი ვალდებულებების დაკისრებისას ითვალისწინებს პირებს შორის ფაქტობრივი რჩენის, თანაცხოვრების არსებობას.

21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, მოსარჩელე მხარის მიერ დასახელებული შესადარებელი სუბიექტები არ არიან არსებითად თანასწორები. ფაქტი, რომ მამკვიდრებელი იმყოფებოდა მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე, რაც აშკარად გამომდინარეობს სადავო ნორმიდან, გამორიცხავს გერის მიერ მზრუნველობის გაღებას მამკვიდრებელზე, მისივე სიცოცხლეში. ამასთანავე, მამკვიდრებლის მიმართ მზრუნველობითი ურთიერთობა შესაძლოა, ჰქონდეს ნებისმიერ პირს, თუმცა ეს მათ არ აქცევს თანაბარ სამართლებრივ სუბიექტებად სოციალური დაცვის დაწესებულებებთან მიმართებით. მხოლოდ მამკვიდრებლის ქონებაზე საკუთრებითი ინტერესი არ განაპირობებს სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს და დასახელებულ პირთა ჯგუფის თანაბრად მიჩნევას. მოპასუხის განმარტებით, მამკვიდრებლის ქონების იმ სოციალური დაწესებულების საკუთრებაში გადასვლა, რომელიც არჩენდა მამკვიდრებელს, ემსახურება იმ მიზნის მიღწევას, რომ მოხდეს ამ დაწესებულების მიერ გაღებული რესურსების დაბალანსება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს 1343-ე მუხლი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.

22. მოპასუხე მხარე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებს საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ პრაქტიკაზე.

II
სამოტივაციო ნაწილი

1. სადავო ნორმაში განხორციელებული ცვლილება

1. №1395 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის დასრულების შემდგომ, ცვლილება განხორციელდა ერთ-ერთ სადავო ნორმაში. კერძოდ, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2025 წლის 26 ივნისის №837-IIმს-XIმპ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, 2025 წლის 3 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. სადავო ნორმის ცვლილებამდელი რედაქციის შესაბამისად, „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება,

უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“. ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, სადავო ნორმამ განიცადა ტექნიკური და გრამატიკული შესწორებები. გარდა ამისა, ტერმინები „მოხუცთა“ და „ინვალიდთა“ ჩანაცვლდა ტერმინებით „ხანდაზმულთა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა“.

2. დავის საგნის სწორად იდენტიფიცირების მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, შეაფასოს, რა გავლენა მოახდინა განხორციელებულმა ცვლილებებმა სადავო ნორმის კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებულ შინაარსზე.

3. №1395 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას ასაბუთებდა ორი მიმართულებით. კერძოდ, ერთი მხრივ, მოსარჩელე მხარეს არაკონსტიტუციურად მიაჩნდა სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონებას საკუთრებაში გადასცემდა სახელმწიფოს და არა გერს, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა მას, მამკვიდრებელთან არსებული მჭიდრო ოჯახური ურთიერთობიდან გამომდინარე, ხოლო, მეორე მხრივ, ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამონაკლისის სახით ითვალისწინებდა უმკვიდრო ქონების გადაცემას სადავო ნორმაში ჩამოთვლილ მზრუნველობით დაწესებულებებზე მაშინ, როდესაც ამგვარი სტატუსის არმქონე პირს, მათ შორის, გერს, რომელიც ანალოგიურად არჩენდა მამკვიდრებელს, სამკვიდრო ქონებაზე მსგავსი უფლება არ გააჩნდა.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები, რომლებიც გამოიხატა კონკრეტული ტერმინების განსხვავებულად ჩამოყალიბებაში და სადავო ნორმის ტექსტის ტექნიკურად და გრამატიკულად გამართვაში, შინაარსობრივად, არ ცვლის კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მიერ სადავოდ გამხდარ მოწესრიგებას და ახლად ჩამოყალიბებული ნორმა არსებითად იმეორებს ძველი რედაქციის შინაარსს. კერძოდ, განხორციელებულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია გასაჩივრებული რეგულირების სადავო შინაარსზე, რომელიც ითვალისწინებს უმკვიდრო ქონების გადაცემას სახელმწიფოსთვის და არა გერისთვის, ისევე, როგორც იმ დანაწესზე, რომლის თანახმად, ფიზიკური პირებისაგან, მათ შორის, გერისაგან განსხვავებით, მამკვიდრებლის რჩენის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მისი უმკვიდრო ქონება გადაეცემა სადავო ნორმაში ჩამოთვლილ სხვადასხვა მზრუნველობით და სოციალურ დაწესებულებას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება ტერმინებს „მოხუცთა“ და „ინვალიდთა“, ანაცვლებს ტერმინებით – „ხანდაზმულთა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა“, რაც განპირობებულია არსებული ტერმინების მოძველებული ხასიათით, მათი შესაძლო ნეგატიური კონოტაციით და საქართველოს კანონმდებლობაში უკვე დამკვიდრებულ რელევანტურ ტერმინებთან სადავო ნორმის ტექსტის ჰარმონიზაციის მიზნით. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ, სადავო ნორმას, შინაარსობრივად, უფლების დაცვის თვალსაზრისით, არსებითი მოდიფიცირება არ განუცდია და მოქმედ რედაქციაში კვლავაც არსებობს უფლების შესაძლო დარღვევის ანალოგიური რისკი.

5. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არ არსებობს დებულება, რომელიც გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, გააგრძელოს სამართალწარმოება და იმსჯელოს ცვლილებების შემდეგ ჩამოყალიბებულ ნორმაზე, თუკი არსებობს, თავდაპირველად, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის მომენტისათვის მოქმედი, თუმცა მოგვიანებით ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმა, ხოლო გასაჩივრებული მოწესრიგება მოქმედებს იმავე ნორმატიული შინაარსით, რა შინაარსითაც სადავო იყო მისი კონსტიტუციურობა. ამასთანავე, გასაჩივრებულ დებულებაში განხორციელებული არაარსებითი ცვლილების შემთხვევაში სადავო ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის ხელოვნური გაჭიანურების პრევენციას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის №1/3/697 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-12).

6. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, როდესაც ძალადაკარგული ნორმის მსგავსად, მოქმედი ნორმის პირობებშიც პირის უფლება იდენტურად იზღუდება,

კონსტიტუციური უფლების დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის ხელოვნური გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია სადავო ნორმების მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასება. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება შესაბამისი პრეცედენტები. კერძოდ, როდესაც სადავო ნორმას ემატება ახალი განსაზღვრება/მოცემულობა, თუმცა იგი შინაარსობრივად არ ცვლის მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ შინაარსს, ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას სადავო ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასების გზით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 27 დეკემბრის №2/7/1547 გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/5/1355,1389 გადაწყვეტილება საქმეზე „სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9-12; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 სექტემბრის №1/7/1437 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს ეპიცენტრი“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

7. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ სადავო ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასებას გააჩნია პირთა უფლებების უკეთესად დაცვის პოტენციალი. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო, ძალადაკარგული გასაჩივრებული ნორმის ნაცვლად, შეაფასებს სადავო რეგულირების მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის საკითხს.

8. ამდენად, №1395 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების: „ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და ამავე კოდექსის 1336-ე მუხლისა და 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

9. ამავდროულად, ნათელია, რომ განსახილველი საქმის გადაწყვეტა მოითხოვს სადავო ნორმების კონსტიტუციურობის დადგენას სხვადასხვა შინაარსის კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო გასაჩივრებული რეგულაციების კონსტიტუციურობას თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასებს.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით

2.1. მემკვიდრეობის უფლებით დაცული სფერო

10. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას როგორც ასეთს და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74). „მემკვიდრეობა წარმოადგენს საკუთრების შეძენის ან მისი განკარგვის ერთ-ერთ ფორმას. საკუთრების შეძენის უფლების მსგავსად, მემკვიდრეობით მიღების უფლებაც საკუთრების წარმოშობამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, შესაბამისად, ეს უფლებაც იცავს პირის შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე მემკვიდრეობის გზით. უფლება რეალიზებულად უნდა მივიჩნიოთ პირზე მემკვიდრეობის გზით საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან. ამის შემდგომ პიროვნების ქონება დაცულია საკუთრების თავისუფალი ფლობისა და განკარგვის კონსტიტუციური გარანტიით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის

მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77).

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მემკვიდრეობის უფლების ფუნქციას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ მესაკუთრის გარდაცვალებასთან ერთად არ მოხდეს კერძო საკუთრების როგორც საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის საფუძვლის დაკარგვა, არამედ ის შენარჩუნდეს სამართალმემკვიდრეობის გზით. იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა მემკვიდრეობის უფლება, კერძო საკუთრება ავტომატურად გადავიდოდა სახელმწიფოს ხელში, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის დასუსტებას. მემკვიდრეობის უფლების გარეშე თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და რომელსაც ფაქტობრივი დასასრული აქვს და არა სამართლებრივი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75).

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მემკვიდრეობის უფლება იცავს როგორც მამკვიდრებლის უფლებას – ანდერძის მეშვეობით თავად განსაზღვროს მისი ქონების სამომავლო ბედი, ასევე მემკვიდრის უფლებას – გახდეს შესაბამისი ქონების მესაკუთრე მემკვიდრეობის გზით. „მამკვიდრებლის უფლება, ანდერძის საფუძველზე განკარგოს საკუთარი ქონება და მემკვიდრის უფლება, შეიძინოს შესაბამისი საკუთრება მემკვიდრეობის გზით, წარმოადგენს ძირითადი უფლების სახით რეგლამენტირებული თავისუფლების გარანტიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-76).

13. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია, მამკვიდრებელმა მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო, ვერ მოახერხოს ანდერძის დატოვება და მემკვიდრეების თავად დასახელება. ამგვარი შემთხვევებისთვის, აუცილებელია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდეს პოტენციურ მემკვიდრეთა წრეს, რათა არ მოხდეს სამკვიდროს გამოყოფა მამკვიდრებლის ოჯახისგან, გონივრული დაშვებით, გაგრძელდეს მასზე კერძოსაკუთრებითი წესრიგი და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მისი უმკვიდრო ქონებად გამოცხადება/სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის სულისკვეთება მოითხოვს, რომ ყველა პოტენციურ მამკვიდრებელს ჰქონდეს შესაძლებლობა, საკუთარ სიცოცხლეშივე მიიღოს გადაწყვეტილება, მისი გარდაცვალების შემთხვევაში, საკუთარი სამკვიდროს განკარგვის თაობაზე, ხოლო ასეთი ნების არ/ვერ გამოხატვის (ანდერძის არ/ვერ დატოვების) შემთხვევაში, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სამკვიდროს მიმღებ პოტენციურ სუბიექტთა წრეს. კანონით მემკვიდრეობის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ანდერძით გაუთვალისწინებელი სამკვიდროს სამართლებრივი ბედის განსაზღვრა წარმოადგენს.

2.2. სადავო ნორმის შინაარსი და სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება

14. განსახილველი საქმის ფარგლებში, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს. მოსარჩელისთვის პრობლემურია ის გარემოება, რომ გასაჩივრებული რეგულაციის მიხედვით, გერი არ წარმოადგენს არც ერთი რიგის მემკვიდრეს. იგი ითხოვს სამკვიდრო ქონებაზე გერის უფლების აღიარებას, სხვა მემკვიდრეების არყოფნის შემთხვევაში.

15. სადავო ნორმა განსაზღვრავს, კანონით მემკვიდრეობისას, სამკვიდროს მიმღებ სუბიექტთა წრეს და ადგენს მათ რიგითობას. კერძოდ, კანონით მემკვიდრეობის დროს პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, ნაშვილები, მეუღლე და მშობლები (მშვილებლები). პირველი რიგის მემკვიდრეს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს მამკვიდრებლის შვილიშვილი, თუკი, გარდაცვლილია ასეთი მემკვიდრის მშობელი (მამკვიდრებლის შვილი). იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს არ დარჩა მემკვიდრეთა პირველ რიგში შემავალი არც ერთი პირი, სამკვიდრო ქონება ნაწილდება მეორე რიგში შემავალ მემკვიდრეებს შორის, რომლებსაც მიეკუთვნებიან გარდაცვლილის დები და ძმები. ამასთან, მამკვიდრებლის დისწულები, ძმისწულები და მათი შვილები მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. მესამე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან ბებია და პაპა, ასევე

ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან. მეოთხე რიგის მემკვიდრეები არიან ბიძები, დეიდები და მამიდები. ბოლო, მეხუთე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – მათი შვილები. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლის თანახმად, წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

16. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არც კანონით მემკვიდრეები და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო ან ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.

17. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მიმღებ პოტენციურ სუბიექტთა წრეს და მასში არ მოიაზრებს გერს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი გარდაიცვლება ისე, რომ არ დატოვებს ანდერძს, გერი მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, სხვა მემკვიდრეების არყოფნის შემთხვევაში, მიიღოს სამკვიდრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, გერი რამდენად ექცევა კანონით მემკვიდრეობისას, სამკვიდროს მიმღებ სუბიექტთა წრეში.

2.3. კანონისმიერი მემკვიდრეობით დაცული სფერო

18. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განსხვავებით ანდერძისმიერი მემკვიდრეობისგან, კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს, იმავე ხარისხით არ იკვეთება მამკვიდრებლის ნამდვილი ნება მისი ქონების შემდგომ სამართლებრივ ბედთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25). აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი უფლებამოსილია, საკანონმდებლო პრეზუმფციის საფუძველზე, თავად განსაზღვროს პოტენციურ მემკვიდრეთა წრე და რიგითობა. ეს პრეზუმფცია უნდა ემყარებოდეს მამკვიდრებელთა განზოგადებულ, სავარაუდო ნებას, შესაბამისად, იგი ვერ იქნება მორგებული, კონკრეტული მამკვიდრებლის სპეციფიკურ, ინდივიდუალიზებულ სურვილზე. ამდენად, ლოგიკურია, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებში კანონმდებლის მიერ პოტენციურ მემკვიდრეთა წრისა და რიგითობის განსაზღვრა ყოველთვის ვერ იქნება აბსოლუტურ თანხვედრაში თითოეული მამკვიდრებლის რეალურ ნებასთან. ამასთანავე, მართალია, საქართველოს კონსტიტუცია კანონმდებელს უტოვებს გარკვეულ დისკრეციულ შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კანონით მემკვიდრეობის უფლების შინაარსი და ფარგლები, თუმცა აღნიშნული შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კონსტიტუციით განმტკიცებული მემკვიდრეობის უფლების საერთო სულისკვეთებასთან და, ზოგადად, კონსტიტუციურ წესრიგთან.

19. კანონით მემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგებისას, სამართლის აღნიშნული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონის განჭვრეტადობისა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპებს. კანონი, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მარტივად უნდა იძლეოდეს იმის გარკვევის შესაძლებლობას, ვინ და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მემკვიდრე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მამკვიდრებლის სავარაუდო ნება და საოჯახო სამართლიდან მომდინარე ვალდებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით განსაზღვრა კანონმდებელმა კანონით მემკვიდრეობის მიმღებ სუბიექტთა წრე და ხომ არ იყო მის მიერ შემუშავებული კრიტერიუმები წინააღმდეგობაში კონსტიტუციის მოთხოვნებთან.

20. სადავო ნორმა კანონით მემკვიდრეთა წრეს მიაკუთვნებს სისხლით ნათესავთა შეზღუდულ კატეგორიას (შვილი, მშობელი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი, და-ძმა, დისწული, ძმისწული, ბებია, პაპა, ბებიის და პაპის დედ-მამა, ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და მამიდაშვილი) და იმ პირებს, რომელთან ერთადაც ოჯახის შექმნის სურვილი სიცოცხლეშივე სამართლებრივად დასტურდება მამკვიდრებლის მხრიდან – მეუღლე და ნაშვილები.

21. სისხლით ნათესაური კავშირი წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრეობით სამართალში საერთაშორისოდ აღიარებულ, პრაქტიკულ, ობიექტურ და განჭვრეტად საზომს, რომლის საფუძველზეც, შესაძლებელია, კანონით მემკვიდრეთა წრისა და მათი რიგითობის განსაზღვრა. როგორც მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, აღნიშნულ კრიტერიუმს საფუძვლად უდევს პრეზუმფცია, რომელიც კანონისმიერი მემკვიდრეობითი სამართლის სპეციფიკიდან მომდინარეობს. კერძოდ, კანონმდებელმა დაუშვა, რომ მამკვიდრებლის სავარაუდო ნება იქნებოდა მისი ქონების გადასვლა მისსავე სისხლით ნათესავებზე. ამასთანავე, კვლავ მამკვიდრებლის სავარაუდო ნების მხედველობაში მიღებით, კანონით მემკვიდრეობა სისხლით ნათესავებზეც ვრცელდება არა უსასრულოდ, არამედ შეზღუდულად, აღმავალი და დაღმავალი შტოს სისხლით ნათესავთა ახლო წრეზე, კერძოდ, იმ პირთა კატეგორიაზე, ვისთანაც, როგორც წესი, მამკვიდრებელს სიცოცხლეში აქვს ფაქტობრივი და მჭიდრო ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლისთვისაც ხელშესახებია ვარაუდი მამკვიდრებლის მიერ მათთვის სამკვიდროს დატოვების ნებასთან დაკავშირებით.

22. რაც შეეხება კანონით მემკვიდრეებს, რომლებიც არ არიან მამკვიდრებლის სისხლით ნათესავები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება ესაა ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შვილად აყვანა გულისხმობს, კანონით დადგენილი წესით, მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს (ნაშვილებს) შორის წარმოშობილ ისეთივე ურთიერთობას, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის. დასახელებული ინსტიტუტების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქორწინება, ისევე, როგორც ბავშვის შვილად აყვანა, ხდება მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში გამოვლენილი აშკარა, სამართლებრივად დადასტურებადი ნების საფუძველზე. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, ლოგიკური და განჭვრეტადობის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია იმის პრეზუმირება, რომ ქონების აღნიშნული პირების საკუთრებაში გადასვლა თანხვედრაში იქნება მამკვიდრებლის ნებასთან.

23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონმდებლის მიერ კანონით მემკვიდრეთა დადგენისათვის სახელმძღვანელო კრიტერიუმები, ისევე, როგორც ამ კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული მემკვიდრეობის მიმღებ პოტენციურ სუბიექტთა წრე, არის გონივრული, შეესაბამება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული (კანონისმიერი) მემკვიდრეობითი სამართლის ზოგად სტანდარტებს და არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მემკვიდრეობის უფლებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად აკმაყოფილებს გერი კანონით მემკვიდრეთა დასახელებულ კრიტერიუმებს. ამის შემდეგ კი, მან ასევე უნდა გამოიკვლიოს, ხომ არ არსებობს რაიმე ისეთი კრიტერიუმი, რომელიც კანონმდებელმა არ გაითვალისწინა კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის განსაზღვრისას, თუმცა მისი მხედველობაში მიღება ევალებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

24. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მამკვიდრებელსა და გერს შორის არ არსებობს სისხლით ნათესაური კავშირი. გერი წარმოადგენს არა უშუალოდ მამკვიდრებლის, არამედ მამკვიდრებლის მეუღლის შვილს. შესაბამისად, მას ჰყავს სხვა ბიოლოგიური მშობლები. ამასთანავე, ნათელია, რომ მამკვიდრებელსა და გერს შორის არ არსებობს ისეთივე პირდაპირი და მჭიდრო სამართლებრივი კავშირი, როგორიც – ნაშვილებისა და მეუღლის შემთხვევებში, რომლებთან მიმართებითაც, მამკვიდრებელი უშუალო, გაცხადებული ნების გამოხატვით, ადასტურებს სამართლებრივი კავშირის სურვილს. ზემოთქმულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ გერი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლის მიერ დადგენილ იმ კრიტერიუმებს, რომლებიც აყალიბებს კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით, სამკვიდროს მიმღებ სუბიექტთა წრეს.

25. რაც შეეხება სხვა, დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებას, მოსარჩელე მხარის პოზიციით, იმ შემთხვევაში, თუ გერი ცხოვრობდა მამკვიდრებელთან და მასთან ერთად ეწეოდა ოჯახურ თანაცხოვრებას, იგი უნდა მოიაზრებოდეს კანონით მემკვიდრეთა წრეში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ განვითარებული მსჯელობის გაზიარებისა და მის მიერ დასახელებული კრიტერიუმების საფუძველზე, გერის კანონით მემკვიდრეთა

რიცხვში შეყვანის შემთხვევაში, მამკვიდრებელთან ერთად მცხოვრებ სხვა პირებს, რომლებიც ასევე ვერ აკმაყოფილებენ კანონმდებლის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს, გაუჩნდებოდათ იგივე მოთხოვნა. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა, ბუნდოვანს გახდიდა იმას, რა შემთხვევაში და ვის ხელში შეიძლებოდა გადასულიყო სამკვიდრო ქონება. კანონისმიერი მემკვიდრეების წრის და რიგითობის განსაზღვრისას, კანონმდებელს მოუხდებოდა არა ზოგადი პრეზუმფციით ხელმძღვანელობა, არამედ ინდივიდუალურ შემთხვევებზე ორიენტირება და ფაქტობრივი მოცემულობების გათვალისწინება, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნიდა კანონისმიერი მემკვიდრეობის სამართლის თანმდევ, კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპებს. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას არ წარმოადგენს კანონით მემკვიდრეთა წრეში ყველა იმ პირის მოაზრება, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა ან/და მასთან ახლო ემოციური კავშირი ჰქონდა. იმავე ლოგიკით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, დედინაცვალს/მამინაცვალს და გერს შორის ურთიერთრჩენის ვალდებულების გათვალისწინება, გარკვეული დათქმებით, თავისთავად ამ უკანასკნელს ვერ აქცევს კანონით მემკვიდრეობის მიმღებ სუბიექტად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის. ამგვარი შემთხვევებისთვის კანონმდებლობა ითვალისწინებს, ანდერძის მეშვეობით, სამკვიდრო ქონების განკარგვის შესაძლებლობას და სხვა მექანიზმებს, რომელთა გამოყენებით მამკვიდრებელს აქვს შესაძლებლობა, მისთვის სასურველი პირი აქციოს საკუთარი ქონების პოტენციურ მემკვიდრედ/მესაკუთრედ.

26. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დაცული მემკვიდრეობის უფლება არ მოიცავს გერის უფლებას, წარმოადგენდეს გარდაცვლილი პირის რომელიმე რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგება დასახელებული კონსტიტუციური დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით

3.1. საკუთრების უფლებით დაცული სფერო

27. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებულია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32).

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს კერძო საკუთრების ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას, ხოლო, მეორე მხრივ, განამტკიცებს ძირითად უფლებას. მისი ფუნქციაა, ცალკეულ პირს შეუნარჩუნოს თავისუფალი სივრცე ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში და ამით შესაძლებლობა მისცეს პიროვნული განვითარებისა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის გამოვლენისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). „საკუთრების უფლება ადამიანის არამარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

29. გარდა ამისა, საკუთრების უფლება წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საყრდენს, რომელსაც ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლება და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვა. „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე

უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის, საკუთრების შეძენის გზით, ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

3.2. სადავო ნორმის შინაარსისა და მოსარჩელის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ არც კანონით მემკვიდრეები და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო ან ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში“. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ დასახელებული საკანონმდებლო დებულება გაუმართლებლად ერევა საკუთრების შეძენის უფლებაში, რადგან იმ პირს, რომელიც წარმოადგენს ქონების ფაქტობრივ მფლობელს (და არა მესაკუთრეს) ართმევს ამ ქონების საკუთრებაში მოქცევის შესაძლებლობას. მოსარჩელის პოზიციით, იმ შემთხვევაში, როდესაც უმკვიდრო ქონებას ჰყავს რეალური მფლობელი, იგი უნდა გადავიდეს მოსარგებლის საკუთრებაში, რადგან მას სახელმწიფოზე მეტი ბმა აქვს აღნიშნულ ქონებასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე ასკვნის, რომ სადავო ნორმა გაუმართლებლად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს.

31. საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, უნდა განსაზღვროს სადავო ნორმის შინაარსი და მოახდინოს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ფაქტისა და ფარგლების იდენტიფიცირება, ხოლო, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეაფასოს შეზღუდვის კონსტიტუციურობა. სადავო ნორმის ტექსტობრივი განმარტება ცალსახად მიუთითებს, რომ უმკვიდრო ქონების გადასვლა ხდება სახელმწიფოზე. შესაბამისად, პირი, რომელიც ფაქტობრივად ფლობს სამკვიდრო ქონებას, მაგრამ არ წარმოადგენს მემკვიდრეს, მოკლებულია შესაძლებლობას, მოიპოვოს სამკვიდრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, პირის მიერ განხორციელებული მართლზომიერი მფლობელობა უმკვიდრო ქონებაზე წარმოშობს თუ არა ამ ქონების მის საკუთრებაში გადაცემის საფუძველს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის.

32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი მფლობელობა არ ქმნის სუბიექტის იმდენად მყარ სამართლებრივ კავშირს ქონებასთან, რომ აღნიშნული გარემოება შეფასდეს, როგორც უკვე შეძენილი საკუთრება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის.

33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საკუთრების ცნება ავტონომიური შინაარსისაა და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე საკუთრების უფლებით, ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც ქმნის ქონებას, ქონებრივი ხასიათის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ასევე ქონებრივი ღირებულებები, მათ შორის, უფლება მოთხოვნაზე, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს, შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის №1/5/489-498 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოთარ კვენეტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

34. საკონსტიტუციო სასამართლო ამა თუ იმ კონსტიტუციურ დებულებას განმარტავს კონსტიტუციური პრინციპების გამოყენებით. „მართალია, კონსტიტუციური პრინციპები არ აყალიბებს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი ასევე ექვემდებარება გადამოწმებას კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და ამ თვალსაზრისით, მსჯელობა უნდა წარიმართოს ერთიან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად თავსდება გასაჩივრებული აქტი იმ კონსტიტუციურ-

სამართლებრივ წესრიგში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-16).

35. განსახილველ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი უნდა განიმარტოს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპთან კავშირში, რომელიც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს. სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს განსაზღვრულობის პრინციპი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ლეგიტიმური მოლოდინები, რომელთა მიმართაც ინდივიდებს ნდობა გააჩნიათ. კანონით მინიჭებული უფლებების მიმართ მაღალია ინდივიდების ნდობის ხარისხი. აღნიშნული ნდობის გაუმართლებელი შერყევა ნეგატიურად აისახება სამართლის მიმართ ნდობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, მოსარჩელეს ხომ არ გააჩნდა სამკვიდრო ქონების მიღების კანონიერი მოლოდინი.

36. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია მხოლოდ კანონიერ საფუძველზე წარმოშობილი ლეგიტიმური მოლოდინი. მოლოდინი, რომ ლეგიტიმურად და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს კანონიერი საფუძველი და უნდა წარმოადგენდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნას. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი არ ქმნის სახელმწიფოსგან მატერიალური სარგებლის უპირობოდ მოთხოვნის უფლებას. აქ ნაგულისხმევია შემთხვევა, როდესაც მატერიალური სარგებლის მოთხოვნა ემყარება კონკრეტულ, ნამდვილ სამართლებრივ საფუძველს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).

37. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით, გერი არასდროს წარმოადგენდა კანონით მემკვიდრეს, ხოლო უმკვიდრო ქონება ყოველთვის მიექცეოდა სახელმწიფოს/ხაზინის საკუთრებაში. შესაბამისად, არასდროს ყოფილა იმგვარი სამართლებრივი მოცემულობა, რომლის ფარგლებშიც, გერს შესაძლებლობა ექნებოდა, საკუთრებაში მიეღო უმკვიდრო ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არ იკვეთება კანონიერი საფუძვლის არსებობა, რომელსაც შეიძლებოდა, მოსარჩელისთვის წარმოეშვა უმკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ლეგიტიმური მოლოდინი.

38. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში არ ექცევა პირის მფლობელობაში არსებული უმკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სადავო სიტყვების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

4.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

39. განსახილველი საქმის ფარგლებში, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.“ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.

40. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული უფლება ყველა ადამიანს აღიარებს სამართლის წინაშე თანასწორად და კრძალავს დისკრიმინაციას „რასის, კანის

ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით". საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1).

41. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1). „თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-2).

42. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები შეიზღუდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმა „არსებითად თანასწორ პირებს შეუქმნის განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებითა თუ ვალდებულებებით ან არსებითად უთანასწოროთა მიმართ გაავრცელებს ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმს" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №2/3/663 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3).

43. სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს თავად ამ ნორმის შინაარსი და სასარჩელო მოთხოვნის ჭრილში შესაფასებელი მოცემულობის ფარგლები.

4.2. შეზღუდვის იდენტიფიცირება

4.2.1. შესაფასებელი მოცემულობა და შესადარებელ პირთა დიფერენცირება

44. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არც კანონით მემკვიდრეები და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო ან ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.

45. წინამდებარე საქმის ფარგლებში, სადავოდ არის გამხდარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის

სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.“

46. მოსარჩელე მხარეს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებასთან შეუთავსებლად მიაჩნია სადავო ნორმით დადგენილი მოწესრიგება, რომლის თანახმად, მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონება გადადის ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების საკუთრებაში, მაშინ, როდესაც ანალოგიური წესი არ ვრცელდება გერთან ან იმ ფიზიკურ პირებთან მიმართებით, რომლებიც მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე უვლიან, აღნიშნული მზრუნველობითი დაწესებულებების მსგავსად. მოსარჩელის პოზიციით, მართალია, მის მიერ იდენტიფიცირებულ შესადარებელ პირებს აქვთ განსხვავებული სტატუსი და სამუშაო სპეციფიკა, თუმცა მათ თანაბრად გააჩნიათ საკუთრებითი ინტერესი მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონებაზე. შესაბამისად, განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, შესადარებელი პირები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, რის გამოც, სახელმწიფოს მათ მიმართ თანაბარი მოპყრობის ვალდებულება გააჩნია. ამდენად, წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, მოსარჩელე მხარე აცხადებს, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, სახელმწიფო არსებითად თანასწორ პირებს ეპყრობა უთანასწოროდ.

47. აშკარაა, რომ სადავო ნორმა წარმოადგენს ერთგვარ გამონაკლისს საერთო წესიდან, რომლის თანახმად, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. კერძოდ, სადავო რეგულაციით, კანონმდებელი განსაზღვრავს უმკვიდრო ქონების მიმღებ სპეციალურ სუბიექტებს – მზრუნველობის განმახორციელებელ დაწესებულებებს და ადგენს მათთვის უმკვიდრო ქონების გადაცემის შესაბამის წინაპირობას – მათ მიერ მამკვიდრებლის რჩენის ფაქტს.

48. ამავდროულად, სადავო ნორმის საფუძველზე, სპეციალური სუბიექტების განსაზღვრით, კანონმდებელმა უმკვიდრო ქონების მიმღებ პოტენციურ პირთა წრიდან გამორიცხა ყველა სხვა პირი, მათ შორის, გერი, რომელიც, შესაძლოა, მზრუნველობის დაწესებულების მსგავსად არჩენდეს მამკვიდრებელს. ამდენად, სადავო ნორმაზე დაყრდნობით, მზრუნველობის განმახორციელებელ იმ დაწესებულებებს, რომლებიც არჩენდნენ მამკვიდრებელს, აქვთ უმკვიდრო ქონების მიღების შესაძლებლობა, ხოლო სხვა პირებს, რომლებიც ასევე არჩენდნენ მამკვიდრებელს, ამგვარი შესაძლებლობა არ გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გასაჩივრებული რეგულაციის ამგვარი განმარტება არც მოპასუხე მხარეს გაუხდია სადავოდ.

49. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სადავო ნორმა ახდენს დიფერენცირებას მოსარჩელის მიერ დასახელებულ სუბიექტებს შორის, უდგენს რა მათ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს იმისდა მიხედვით, ჰქონდათ თუ არა სადავო ნორმით განსაზღვრული სოციალური დაცვის დაწესებულების სტატუსი მამკვიდრებლის რჩენის განხორციელებისას.

4.2.2. შესადარებელ პირთა არსებითად თანასწორობა

50. თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისას, დიფერენცირების არსებობასთან ერთად, აუცილებელია დადგინდეს, რამდენად წარმოადგენენ შესადარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორ სუბიექტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბერუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-17).

51. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში შესადარებელ ჯგუფებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ის სოციალური მზრუნველობის განმახორციელებელი დაწესებულებები, რომლებიც არჩენდნენ მამკვიდრებელს, ხოლო, მეორე მხრივ, პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ მზრუნველობის განმახორციელებელ დაწესებულებებს, მაგრამ ამ დაწესებულებების მსგავსად, უვლიდნენ მას და ზრუნვისათვის გასწევდნენ დასახელებული დაწესებულებების ანალოგიურ ხარჯს.

52. მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმა მიღებულია მრავალი წლის წინ და იგი არ აკონკრეტებს, რომელი დაწესებულებები მოიაზრება მზრუნველობის დაწესებულებებში. ეს დაწესებულება შესაძლოა იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო ხასიათის. იმისათვის, რომ დაწესებულებას გადაეცეს უმკვიდრო ქონება, მთავარია, დასტურდებოდეს ამ დაწესებულების მიერ მამკვიდრებლის რჩენის ფაქტი.

53. ნათელია, რომ შესადარებელ პირებს შორის დიფერენცირების ნიშანს წარმოადგენს იმ პირის სტატუსი, რომელიც ახორციელებდა მამკვიდრებლის რჩენას და არა, მაგალითად, მამკვიდრებელზე გაწეული ზრუნვის ხარისხი, მისი რჩენისთვის გაღებული ფინანსური ხარჯების ოდენობა და ა.შ., კერძოდ, არსებული მოწესრიგებით, მამკვიდრებლის რჩენის შემთხვევაში, მხოლოდ ის პირი მიიღებს მის უმკვიდრო ქონებას, რომელსაც სადავო ნორმის მიზნებისათვის ექნება ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამკურნალო, აღმზრდელობითი ან/და სოციალური დაცვის დაწესებულების სტატუსი.

54. მოპასუხე მხარის მტკიცებით, მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული შესადარებელ პირთა კატეგორიები არ წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, რაც გამორიცხავს მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

55. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარეს არ დაუსახელებია რაიმე განმასხვავებელი ნიშანი ან მახასიათებელი, რომელიც შესადარებელი პირების არსებითად თანასწორ სუბიექტებად მიჩნევას ეჭვქვეშ დააყენებდა. მოპასუხის განმარტებით, მამკვიდრებლის ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამკურნალო, აღმზრდელობით ანდა სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე ყოფნა, ავტომატურად გამორიცხავს გერის მიერ მზრუნველობის გაღებას მამკვიდრებელზე, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ასეთ შემთხვევაში, მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონება რჩება შესაბამის დაწესებულებას და არა გერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ დასახელებული არგუმენტი ვერ გამოდგება შესადარებელი სუბიექტების არსებითად თანასწორობის გამაქარწყლებელ გარემოებად. მეტიც, წინამდებარე დავის ფარგლებში, მოსარჩელის მოთხოვნას საერთოდ არ წარმოადგენს გერისათვის მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონების გადაცემა, თუ მამკვიდრებელს არჩენს მზრუნველობითი დაწესებულება. მოსარჩელე მხარე მის მიერ დასახელებულ პირთა მზრუნველობითი დაწესებულების არსებითად თანასწორად განხილვას ითხოვს სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც მამკვიდრებლის მოვლა-პატრონობას ახორციელებს არა რომელიმე დაწესებულება, არამედ ამგვარი სტატუსის არმქონე კონკრეტული პირი, მათ შორის, გერი.

56. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „პირდაპირი დიფერენცირების შემთხვევაში, ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, პირები, როგორც წესი, არსებითად თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენენ. ასეთ დროს სასამართლო ახდენს შესადარებელი პირების არსებითად თანასწორად პრეზუმირებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოკვეთილია რაიმე გარემოება, რომელიც მიუთითებს მათი განსხვავებულად განხილვის საჭიროებაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). „ზოგადად, პირები არსებითად თანასწორი სუბიექტები არიან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება მათ განსხვავებულად განხილვას მოითხოვს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

57. მოცემულ შემთხვევაში ერთ მხარეს დგანან საჯარო და კერძო დაწესებულებები, რომლებიც კანონმდებლობის საფუძველზე (მაგალითად, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანების საფუძველზე, ხდება ხანდაზმული პირის მოთავსება სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფილიალში – ხანდაზმულთა პანსიონატში, აგრეთვე ხანდაზმულთა სათემო ორგანიზაციაში) ან/და საკუთარი კეთილი ნებით ზრუნავენ მამკვიდრებელზე და არჩენენ მას, ხოლო, მეორე მხარეს დგანან გერი და სხვა ფიზიკური პირები, რომლებიც ასევე კანონმდებლობის საფუძველზე ან/და საკუთარი კეთილი ნებით ზრუნავენ მამკვიდრებელზე და ახორციელებენ მის მოვლა-პატრონობას. ცხადია, ვერ მოხდება საკითხის შაბლონურად ზუსტი კალკულაცია, თუმცა, ამავდროულად, პრაქტიკაში არაფერი გამორიცხავს შემთხვევებს, როდესაც

კონკრეტული ფიზიკური პირის მხრიდან მამკვიდრებლის მიმართ გაწეული ზრუნვა, მოვლა-პატრონობა, გამოჩენილი სითბო და გაწეული ხარჯები იქნება იმის ეკვივალენტური (ან თუნდაც უფრო მეტი), რასაც გასწევდა სადავო ნორმით განსაზღვრული მზრუნველობითი დაწესებულება, რომელსაც, არსებული მოწესრიგების თანახმად, გადაეცემა მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონება. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ შესადარებელ პირებს, მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონების მიმართ, შესაძლოა, გააჩნდეთ თანაბარი საკუთრებითი ინტერესი.

58. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით, შესადარებელი პირები, კერძოდ, ერთი მხრივ, სადავო ნორმით გათვალისწინებული დაწესებულებები და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირები, მათ შორის, მამკვიდრებლის გერი, რომლებიც ამ დაწესებულებების მსგავსად ახორციელებენ მამკვიდრებლის რჩენას და მის მოვლა-პატრონობას, წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს.

59. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში დიფერენცირება ხორციელდება არსებითად თანასწორ პირებს შორის, რაც იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული თანასწორობის უფლების შეზღუდვას.

4.3. შეზღუდვის კონსტიტუციურობა

60. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და დემოკრატიულ სახელმწიფოში შესაძლებელია მისი შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დიფერენცირებული მოპყრობისას, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

61. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დიფერენცირების არსებობის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, მისი დისკრიმინაციულობის მასშტაბი იდენტური არ არის და დამოკიდებულია უთანასწორო მოპყრობის თავისებურებებზე. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას ... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ, შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

62. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმების შეფასებისას, სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი, ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას – სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

63. ამასთანავე, „მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეულ

უნდა იქნეს რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამომწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40). შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ დიფერენცირება არ პასუხობს რაციონალური ტესტის მოთხოვნებს, სასამართლო სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს დიფერენცირების ტესტის შერჩევის გარეშე (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

64. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო ნორმის შემუშავებისას, კანონმდებლის მიზანი იყო ჩამოთვლილი დაწესებულებების მიერ მამკვიდრებლის რჩენისათვის გაღებული რესურსების დაბალანსება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს კანონმდებლის ამ განზრახვის ლეგიტიმურობას და მართებულობას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „განსხვავებული მოპყრობის გამართლების დასასაბუთებლად, მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს საჯარო ინტერესი, რომელიც საფუძვლად დაედო უშუალოდ დიფერენცირებას და არა ზოგადად სადავო ნორმის შემოღებას“ (იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს კავშირი არ აქვს უშუალოდ განსხვავებულ მოპყრობასთან, ამდენად, იგი ვერ ჩაითვლება სადავო ნორმიდან მომდინარე დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზნად.

65. სხვა სიტყვებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ლოგიკურად მიიჩნევს კანონმდებლის გადაწყვეტას, რომლის მიხედვითაც უმკვიდრო ქონება გადაეცემა მზრუნველობით დაწესებულებას, რომელიც არჩენდა მამკვიდრებელს, თუმცა სასამართლოსთვის აუხსნელია, რატომ ხდება მსგავსი სარგებლის მიღების უფლების მქონე სუბიექტთაგან იმ პირების გამორიცხვა, რომლებიც სადავო ნორმაში ჩამოთვლილი დაწესებულებების სტატუსის არქონის მიუხედავად, ამ დაწესებულებების მსგავსად ან შესაძლოა, მათზე უკეთ, ზრუნავენ მამკვიდრებელზე და ახორციელებენ მის მოვლა-პატრონობას. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარეს არ დაუსახელებია და თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც ვერ ხედავს რაიმე ობიექტურ, ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ამგვარი დიფერენცირებული მოპყრობის ლოგიკურ და რაციონალურ საფუძვლად გამოდგებოდა.

66. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო რეგულირება იწვევს დისკრიმინაციულ მოპყრობას არსებითად თანასწორ პირებს შორის და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

4.4. სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის თარიღის გადავადება

67. წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.“. მაშასადამე, სადავო ნორმის თანახმად, თუ მამკვიდრებელი ამ ნორმაში ჩამოთვლილი დაწესებულებების რჩენაზე იმყოფებოდა, მისი უმკვიდრო ქონება გადადის არა სახელმწიფოს, არამედ აღნიშნული დაწესებულების საკუთრებაში.

68. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციით. იგი „უფლებამოსილია, მხოლოდ გააუქმოს სადავო ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი/ნორმატიული შინაარსი, თუმცა მას

არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი, გააფართოოს სადავო ნორმის მოქმედება და ა.შ. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში, მის გაუქმებაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22). მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმის დაუყოვნებლივ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადებით, გაუქმდება მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონების მზრუნველობის განმახორციელებელი დაწესებულების საკუთრებაში გადასვლის საკანონმდებლო საფუძველი.

69. წინამდებარე გადაწყვეტილებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის მსჯელობა სადავო ნორმის შემოღების ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით. კერძოდ, მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა მზრუნველობითი დაწესებულებების მიერ მამკვიდრებლის რჩენისათვის გაღებული რესურსების დაბალანსება. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მამკვიდრებლის რჩენის განმახორციელებელი რომელიმე პირისათვის, მისი უმკვიდრო ქონების საკუთრებაში გადასვლის აკრძალვა ან პირიქით, საკუთრებაში გადასვლის ვალდებულების დადგენა არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიზანს. კონსტიტუციის ხსენებული ნორმა მოითხოვს, არსებითად თანასწორ პირებს შორის თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას, ხოლო იმ საკითხის გადაწყვეტა, როგორი ფორმით იქნება ეს მიზანი მიღწეული, მიეკუთვნება კანონმდებლის უფლებამოსილებას.

70. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გადაავადოს სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება 2026 წლის პირველ ივლისამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მიეცეს შესაძლებლობა, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი და უზრუნველყოს არსებითად თანასწორ პირებს შორის თანასწორობის მიღწევა.

III
სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე, 45-ე და 47-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1395 („გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში.“.

2. კონსტიტუციური სარჩელი №1395 („გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლისა და 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „ხოლო თუ მამკვიდრებელი ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების, სოციალური დაცვის სხვა დაწესებულების ანდა სამკურნალო ან აღმზრდელობითი დაწესებულების რჩენაზე იმყოფებოდა – შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში“ ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2026 წლის პირველი ივლისიდან.

4. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

5. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

6. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლე თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის იმ ნაწილთან მიმართებით, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

7. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

8. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე

ირინე იმერლიშვილი

თეიმურაზ ტუღუში